

გაერთიანებული საზოგადოების ჟურნალი

გაზეთის ღირებულება
და გარეშე ადგილებში:
ქრისტიანული — 7 მან.,
ნახევრის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.
საღამო ერთი ნომრისა გაზეთისათვის — 3 შაურის.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

დროება

საქართველოს საზოგადოების ჟურნალი

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
შვილის და კამპ., სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბუთოვის სახლში
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлиси. Вь
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. შპსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრისის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

საქართველოს და სალიტერატურო გაზეთი.

შინაგანი ცნობები:

შინაგანი ცნობები. — რუსეთის ამბები. — სა-
ქალაქო კურსები თბილისში. — მორიადე შე-
ნიშვნა უ. ზოგადი შენიშვნები. — პო-
ლიტიკა: შიდა, — იტალია, — ავსტრია, — ისპანია,
ამერიკის შეერთებული შტატები, — მედიტ. — სხვა
და სხვა ამბები. — ლექსი: „ძინათუბის სიმღერა“. —
ბიბლიოგრაფიული და სხვა გვარი განცხადებები.

შინაგანი ცნობები.

თბილისის მცხოვრებლები აღტაცებაში არი-
ან მშვენიერი ტაროებისაგან; უკანასკნელი
ორი კვირის განმავლობაში აქაურები სრუ-
ლიად ვერა გრძნობენ, რომ ახლა შუაგული
ზამთარი არის. წარმოდგინეთ — თბილისის
„ნაქები“ ქუჩები ისე გაშრენ, რომ ყველანი
უკალაშოთ დაიარებიან და არც იმოდენა სი-
ცივევია, რომ მაინც და მაინც დაბამული
პალტო ძალიან საჭირო იყოს. როგორც მო-
უხდება მომავალი წლის მოსავალს ამისთანა
ტაროსი — არ ვიცი, მაგრამ თბილისის ბაღ-
ებში და ზუღვარებზე მოსეირნებებს რომ ძალი-
ან მოსწონთ ეს ტაროსი — ამაში ეჭვი არის.

ამ მოკლე დროში მივიღეთ ჩვენ ცნობა
ჭუთაისიდან და იწერებინ, რომ იქაც ასე მშვე-
ნიერი ტაროსი ღვასა. ჩვენი კორესპონ-
დენტი უმატებს, რომ „ჭაერში“ ისე თბილაო,
რომ ტყეშია, ალუჩა და სხვა ადრე მოსა-
წყვება მცენარეებმა აყვავება დაიწყესო. — ამ
უკანასკნელი ამბის სიმართლეს თვითონ ჩე-
ნმა კორესპონდენტმა აგოს პასუხი.

ჭუთაისის სამხედრო გუბერატორმა ამ
წლის 15 ნოემბერს გაუგზავნა შემდეგი მი-
წერილობა ჭუთაისის ლუბერნიის უფლის ნა-
ჩალიკებს და პოლიციებს: „სახუმოს სამხედ-
რო განყოფილების ნაჩალიკმა მაცნობა მე,
რომ წელს სექტემბერში ის იძულებულ იყო
დაებრუნებინა უკან ოთხი მგერელი, რომელ-
ნიც თავის ნებით გარდასახლებულიყვნენ
რუსეთის მხარეში. ამის გამო ეუმეორებ
უფ. უფლის ნაჩალიკებს, რომ ჯეროვანი
კურალდება მიაციონ ამ საქმეს და არას გზით
არ მისცენ მათი უფლებებიდან სხუმოს სამხე-
დრო განყოფილებაში გადასახლების ნება“. —
(Сборн. правит. распор. по Кут. губ., №44)

გაზეთის „Кавказ“ — ში იწერებინ ძახეთიდან,
რომ „მინდერის თავები დიდ ზიანს აძლევს
იქაურ ყანებსაო; ზოგ-ნ ქვის ქვეშ და თხრი-
ლებში მცხოვრებლებს ასობით და ათასობით
უნახავთ ისინი ერთად შეგვსული და ხო-
რბალში გახეული“. მართა მანჯიდან ახლად
მოსულმა პირმა გველაპარაკა ჩვენ, რომ წელს
შემოდგომაზე იქაური მცხოვრებლები ხშირად
ნახავდნენ თურმე ყანაში აუარებელ მინდ-
ერის თავებს, რომელნიც შეგროვილიყვნენ
ერთ ორმოში და რომელთაც იმდენი ხო-
რბალი დაემზადებინათ ზამთრისათვის, რომ
ზოგიერთ ორმოდგან ორი და ხშირად სამი
ლიტრა პური ამოვლით.

ზემოსხენებულ გაზეთშივე ამოვინ, რომ
ზორის უფლები ისე გავრცელებულა რქიანი
საქონლის ავთომყოფობა, რომ ხშირად ძა-
ლები და კატები ჰხდებიან თურმე ავთ და
კედებიან. როგორც ამოვინ, გარეგან პირუ-
ტყეებსაც ღარევი პირი, ასე რომ ხშირად

უნახავთ ტყეში და მინდვრებში მკვდარი კუ-
რდლები და სხვა გარეგანი ცხოველები.

ამ დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილის-
ში ბევრს ლაპარაკობდნენ გალავნის და
ქალაქის სამართველოსთინ სხვა მოსამ-
სახურე პირების ამოარჩევის გამო. როგორც
შევიტყუთ, ქალაქის გალავათ ამოურჩევათ თ.
ნაზარ თუმანოვი, რომელსაც ყველა კანდი-
დატებზე მომატებული თეთრი კენჭი ჩაუდგეს.
ჩვენ, ჩვენის მხრით, მოულოცავთ ახალს გალ-
ავას ამ საპატიო და ძნელი ვალდებულობის კის-
რობას და ვისურვებთ, რომ ჯეროვანთ გა-
ამართლოს ქალაქის ნდობა და მოლოდინი.
ძლიერ სასურველია აგრეთვე, რომ სხვა მო-
თანამდებობათც სანდო და პატიოსანი პირები
ამოირჩიონ, რადგან ქალაქის კეთილდღეობა
თითქმის სულ ქალაქის სამართველოსზეა და-
მოკიდებული.

ქეირა დღეს ამ თვის 14-ს ღამის მეთერთ-
მეტე საათის ნახევარზე (ანუ 29 მინუტზე)
ქალაქში იყო მიწის ძვრა საქმათ საგრძო-
ბელი; ზოგს შეუნიშნავთ კიდევ ოთახებში
ქერის ქაქა-ქუქი. შესანიშნავია, რომ მიწის
ძვრა მთაწმინდაზე და სოლოლაკზე უფრო
ძლიერი იყო, ვიდრე მტკვრის მარხენა ნა-
პირზე. ამ დროსვე, როგორც იწერებინ, ზე-
მბრშიაც ყოფილა მიწის ძვრა.

7 ნოემბრის დღის 6 საათზე შემახიაში
და ზოქჩას ყოფილა ძლიერ მიწის-ძვრა, მაგ-
რამ შენობები კი, როგორც ამოვინ, არ
დაუზიანებია.

მომავალი დღესასწაულების გამო, ნამეტ-
ნიკის მთავარ სამართველოს ნაჩალიკის კან-
ცელარიაში შეუძლიანთ ხელის მოწერა იმ
პირთა, რომელნიც, ჩვეულებრივი ეზიტიების
მაგიერათ, მოსიურებენ ღარიბებისათვის რა-
იმეს შეწირვასა.

რუსეთის ამბავი.

ჩერნიგოვიდან აცნობეს „პეტერბურდის
უწყებაებს“, რომ იქაური საზოგადოება ამ
ქალაქში მასწავლებლების სემინარიის გახსნას
აპირებსო თავის ხარჯით.

ზაზ. Кіевлянинъ — ში სწერენ: იმ შემწეო-
ბას გარდა, რომელსაც თვითონ ძიევის უნი-
ვერსიტეტი აძლევს ღარიბ სტუდენტებს, ძი-
ევში უნდა გახსნან კიდევ (კალკე მზრუნვე-
ლობა, რომელიც დაურიგებს გარეშე პირე-
ბისაგან შემოწირულს ფულს სტუდენტ-
ებს და რომელიც შესდგება ძიევის
სამასწავლებლო მაზრის მზრუნველისაგან, რე-
ქტორისაგან და ოთხი-სხვა პროფესორები-
საგან.

ქალაქის კურსები

თბილისის სასწავლებლების ზოგიერთთა მა-
სწავლებელთა ნოემბრის თვეში მისცეს უ.

ძველისის სამოსწავლო მაზრის უფროსს (პო-
პეჩიტელს) შემდეგი ქალაქი. „პირველ და-
წყებით სწავლებაში ქალაქების შრომას წლი-
თი-წლობამდე უფრო დიდი მნიშვნელობა
ეძლევა თბილისში.

„პირველს დაწყებით საქალაქო სკო-
ლებში და საქალაქო სასწავლებელთა მდბა-
ლს კლასებში ასწავლიან ქალები და მას
გარდა კერძო სახლებშიც ბევრგან ასწავლიან
ისინი. პარგათ მომზადებულს ქალებს ძალიან
იზიზიან და იმდენი კი არაიან არის. ამის-
თვის მიუცილებლათ საჭირო გახდა სამოსწა-
ვლო (პედაგოგიური) კურსების დაარსება ქა-
ლებისათვის. ამა მოთხოვნისათვის სრულე-
ბით დააკმაყოფილებს სამოსწავლო (პედაგო-
გიური) კლასი, რომლის დაარსებასაც ფიქ-
რობენ პირველი რიგის ქალების სასწავლე-
ბელთან, თუ გარეშე მსმენელთაც ნება ექ-
მნებათ ამა კლასში სიარულისა — მასწავლე-
ბელთა მომზადებისათვის. მაგრამ სწავლების
გარდა იმათთვის საჭიროა სხვა ცოდნაც, რა-
მლის საშუალებითაც ასწავლიან, ესე იგი სა-
ჭიროა იმისთანა საგნების ცოდნა, რომლებიც
მოეხმარება მასწავლებელს ქალს ყმაწვილის
სწავლებაში.

ჩვენს საქალაქო სკოლებში ეძლევა ისეთი
საზოგადო. სწავლა, რომელიც საქმარისი არ
არის, რომ ზოგიერთი საგნები ასწავლოს
სკოლაში განათლებულმა ქალმა. თუ მასწა-
ვლებელი ქალი საჭიროებს შეწყენას სკოლის
შესრულების შემდეგ, ეს იმათთვის ისე ძნე-
ლია, რომ არამცთუ იმათ, არამედ თვითონ
შეძლებულს ოჯახებსაც უჭირთ საქმე მასწა-
ვლებლების სიცოცხლის გამო. ამისთვის ისე-
თი ქალების კურსის გახსნა, რომელიც ეხმა-
რებოდეს კურს შესრულებულს ქალებს თა-
ვის სწავლის შეესებაში, მიუცილებლათ სა-
ჭიროა. ზემოთ მოხსენებულ სამოსწავლო
კლასთან.

რადგან ამ კურსებიდან უფრო მეტი მეც-
ნიერება უნდა გამოიტანონ ქალებმა, ვინამც
ყველა საქალაქო სკოლებიდან, რომელნიც
თბილისში არსებობენ, ამისთვის რომელთაც
შემოხსენებულს სკოლებში გაუთავებიათ სწა-
ვლა ისინიც სარგებლობას გამოიტანენ აქედ-
გან და საზოგადოთ სხვა ქალებიც, რომელ-
ნიც კი ისურვებენ თავის სწავლის შეესებას.

საგნები იმდენი უნდა ასწავლიონ, რა-
გორც საზოგადოთ გიმნაზიებში ასწავლიან:
რუსული ენის პრაქტიკული სწავლა, თეო-
რეტიკული კურსი გრამატიკისა, რუსული
ლიტერატურადგან კითხვა და იმისი ისტორი-
ული განხილვა, ფიზიკა, ფიზიკური და მათე-
მატიკური გეოგრაფია, ბუნებითი ისტორია,
რუსული ისტორია და საზოგადო ისტორია.
ქურსებს ექნება უროკების ხასიათი და
არა ლექციებისა. ნასწავლის გამეორებაც იქ-
ნება.

შემოგვრე ხელის მომწერნი მასწავლებელნი
სთხოვენ ძველისის სამოსწავლო მაზრის უფ-
როსს, ნება მისცეს მან ამისთანა კურსების
გახსნისა, რადგანაც თავი აზრი ამ საქმეში
ეკუთვნის თვითონ სამოსწავლო მაზრის უფ-
როსს, რომელმაც ამ წლის თებერვალს გამო-
აცხადა ამზე.

ხელმოწერილია: ბ. ლოლობერიძე, ნ. გა-

რიევი, მ. დენისენკო, ა. ივანენკო, ს. პუ-
შკინი, ა. ნიკოლიჩი. ა. სტოიანოვი, რ. შენ-
გერი.

შე. სამოსწავლო მაზრის უფროსს სრუ-
ლიათ მოეწონა ეს აზრი და მისცა ნება
კურსების დაარსებისა.

აქ საჭირო არის გადავებულთ ის კანონები,
რომლებს საფუძვლით გაიხსენება ეს კურსები:

1) როგორც ზემოთ არის მოხსენებული
კურსები იქნება უროკებით დაყოფილი; აგრე-
თვე დასწავლისაც გამეორებინებენ. მისაც
ჰსურს, გამეორებისაგან განთავისუფლდება.
მატემატიკა და პრაქტიკული უროკები, თუ
კითხვა — მიგებით არა, ისე არ ისწავლება; სხვა
საგნებზე კი რამდენსამე უროკს შემდეგ და-
ინიშნება რეპეტიცია (განმეორება ნასწავლ-
სა). ამ რეპეტიციებზე თვითონ მსურველების
მეტი სხვა არაიან დაესწრება.

2) ღაბლოებით თითო კურსი ორ წელი-
წადს უნდა გაგრძელდეს; ეს უფრო დამოკი-
დებული იქნება მსმენელების ცოდნაზე.

3) ქურსის შესრულების შემდეგ ენიც ისურ-
ვებს გამოსცდიან იმ საგნებში, რომელნიც
მოუხმენია და მისცემენ კურსის შესრულების
მოწმობას კოლეგიის წევრების ხელმოწე-
რით პოპეჩიტელის რჩევის წინადადების თანა-
ხმად.

ამ მოწმობას მთავრობის მხრით მნიშვნე-
ლობა არა ექნება რა; მაგრამ თუ საზოგა-
დობას რწმუნება აქვს რამე, რასაკერაველია,
ამ მოწმობასაც ექნება თავისი მნიშვნელობა
ამას გარდა მოწმობას ექმნება მნიშვნელობა
თუ ვინმე ამ კურს შესრულებულთაგანი მო-
ინდომებს შესვლას თბილისის საქალაქო სას-
წავლებელის პირველი რიგის სამოსწავლო
კლასში.

4) თითო საგანზე კვირაში ორ-ორი ურო-
კი იქნება.

5) სწავლა საღამოობით იქნება.

6) სამოსწავლო წელი ორ ნაწილათ იყოფა.

7) თითო საგანზე თვეში სამი მანეთია ანუ
ნახევარს წელს ათი მანეთი.

8) რომელნიც მასწავლებლათ ემზადებიან,
იმათ ნახევარს ფასს გადაახდებიან თუ შე-
უძლებლობას გამოაცხადებენ.

9) ქურსის გახსნას ფიქრობენ პირველი ხა-
რისხის საქალაქო სასწავლებლებში და ამ
განზრახვით მისის იმპერატორების შმაღლე-
სობის ხელმოწიფის დიდი მთავრის ოლგა თე-
ოდოროვნისაგან ითხოვენ ამის ნებას და
ვიდრე ნება-რთვა მოვიდოდეს, კურსები გაი-
ხსნება დროებით თბილისის ქალაქის გიმნა-
ზიაში და იქნება იქ, ვიდრე პირველ ხარის-
ხის სასწავლებელში არ გადაიტანებენ, ან სხვა
ადგილს.

10) ქურსები გაიხსნებიან იმ შემთხვევაში,
როდესაც ჯეროვანი რიცხვი ქალებისა ხელს
მოაწერს საველად. ამისთვის, ვისაც ჰსურს,
იმათ სთხოვენ დროითე გაუგზავნონ განცხა-
დება 1870 წლის 1-ლს იანვარამდის ინსტი-
ტუტში და საქალაქო გიმნაზიაში ამა სასწა-
ვლებების ინსპექტორებს — ბ. ლ. ლოლობე-
რიძეს და ა. ი. ნიკოლიჩს.

უფ. იაკ. ზოგებაშვილისაგან შე-
დგენილ ხელთმძღვანელებზედ.

ამ სტატიაში შეზღუდულად გამოიმეტება რადენიმე აზრი მარტო „ბუნების კარზედ“, მაგრამ, ერთი-ორი მიზეზის გამო, საჭიროდ ვგულისხმობთ მოვილაპარაკო „ანბანსა და პირველ საკითხავ წიგნზედაც“. მიტი, რომ ეს საუბარი პირველ წიგნზედ და ნამეტნაფად მეორეზედ გვიანია: მაგრამ მოახლოვდა ის დრო, როდესაც ზეზოგებაში მომახლოვდა ხელახლად უნდა გამოცემის, ზემოხსენებული წიგნები და ამ გამოცემის, მგონია, ცუდი არ იყოს იმათი განხილვა, თუ რომ შემდგენელი ყურადღებით და უთვალღებოდ ისმენს თავის თანახმა და წინააღმდეგ აზრებს. უკანასკნელი სიტყვები წამცდა იმის გამო, რომ ნახევარი წელიწადია და მეტიც, რაც „მნათობი“ უფ. ივ. მლიოზიშვილმა გამოაცხადა თავისი აზრი „ანბანსა და პირველ საკითხავ წიგნზედ“ და ისურვა, მგონია საუფედლიანად, რომ ამ საგანზედ ხმა ამოეღოთ სხვა ჩვენებურ ჟურნალებსაც. ამასთან ის სთხოვდა უფ. ზოგებაში, რომ იმასაც გამოეცხადებია საუფედლები, რომლებიც თაც ზეზოგებაში წამცდა „ანბანის“ შედგენის დროს. ბეკმდის ეს სურვილი და ეს თხოვნა რჩებიან უპასუხოდ. სანამ „ანბანის“ ახალი გამოცემა არ გამოვა, ჩვენ არ გვეცოდინება, მიიღო უფ. ზოგებაში მხედველობაში „მნათობის“ აზრები, თუ ყური აარიდა იმათ. ორსავე შემთხვევაში მნიშვნელობა უნდა ექნეს ამ სტატიას, — ეს გააზრებს „მნათობის“ ხმას. არ იფიქროთ აქედამ, ვითომც „მნათობის“ განმხილავს ბანს ევლენებოდ ყველაფერში: უფ. მლიოზიშვილმა გამოცხადებდა ზოგი იმისთანა აზრი, რომელზედაც თანხმობა ყოვლად შეუძლებელია. ამ შემდგომ აზრების მიღება უფ. ზოგებაში მხედველობა აქვდა იმისი „ანბანის“ შემდეგ გამოცემის არის უკანასკნელი მიზეზი, რომ ამ სტატიაში „ანბანზედაც“ ელაპარაკებ. უნდა მოვიხსენო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ მიზეზებს ძალას უმატებს: „ბუნების კარის“ არის „ანბანისა და პირველი საკითხავ წიგნის“ გაგრძელება.

მე არ მინახავს „ანბანის“ მესამე გამოცემა, მაგრამ „მნათობის“ საბიბლიოგრაფიულურ ცლიდან ჰსჩანს, რომ უ. ზოგებაშვილს მოუხდენია „ანბანში“ მარტო ერთი ცვლილება: წინანდელი გამოცემით წერა-კითხვის სწავლება უნდა დაწყებულიყო სიტყვებიდან და ესლანდელი არჩევს ასრებიდან დაწყებას. ეს ცვლილება საფუძვლიანია, მაგრამ მიზეზის რომლის გამო უ. ზოგებაშვილს შეუცვლია „ანბანის“ მეტოდა, ანუ წერა-კითხვის სწავლების რიგი, ცოტათი მაშინებს. მნათობის განმხილავი გვარწმუნებს, რომ მეტოდის შეცვლის მიზეზი ის იყო, რომ წინანდელ მეტოდას მასწავლებლები ხერხიანად ვერ ხმარობდნენო. პირველ შეხედავად ეს მიზეზი შეიძლება საფუძვლიანად გვეჩვენოს. ჩვენ იტყვიან: „ძალიან კარგად მოქცეულა უ. ზოგებაშვილი; აბა რად გეინდა მეტოდა, თუნდა კარგიც იყოს, თუ მასწავლებლები იმით ვერ ისარგებლებენ, — თუ არა გეყუანან იმისთან მასწავლებლები, რომ მეტოდის გამოყენება შეეძლოს? — თუ იმით ემწიწები, სხვის შეუწყველად, ხომ ვერ ისწავლიან წერას და კითხვას?“ მაგრამ ამ მეტოდის შეცვლაში უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: თუ ჩვენ მართლა მარტო მასწავლებლების შრომის გასაადვილებლად გამოვიყენებთ „ანბანის“ მეტოდას და არა სხვა მიზეზის გამო, ეს იმისი ნიშანი უნდა იყოს, რომ ჩვენის აზრით, პირიანდელი მეტოდა ჰსჯობა ჟუანას, კნელსა. მაგრამ ძალიან შესაძლებელია, მიეცე

შეკლავდ უფრო ძველია ის მეტოდა, რომელითაც ჰსწავლობდნენ ჩვენი მამა-პაპები და უსწავლია ესოდნდელ მოზდილ ახალ თაობას. ეს მეტოდა არ მოითხოვს მასწავლებლისაგან არაფერს. ცოდნას და მასწავლებლობის გამოცდილებას. ამ მეტოდის მოსახმარად საჭიროა მარტო ერთი და იმავე სიტყვების ხშირად განმეორება და ცემა-ტყევა. სწავლებას იწყებდნენ ასოების გამოხატულობისა და სახელების გახეობრივებით „ან“ — იდ „პრაე“ — მდის და „პოე“ — დამ „ან“ — მდის მერმე მისცემდნენ ყმაწვილს ხელში რომელსაზე წიგნსა, რომელშიაც უნდა გაერჩია ერთი მეორისაგან სხვადასხვა ასოები. ამ გვარად უნდა ევარჯიშა ყმაწვილს, სანამ იმისი მასწავლებლები არ დაოწმუნდებოდნენ, რომ ის ძალიან კარგად და ჩქარა ჰსცნობს ყოველსავე ასოს. შემდეგ დაწყებინებდნენ პირდაპირ ამოხატებს. მაგრამ, რადგანაც ასოები სიტყვებში სხვა წაირად ხმაურავენ, ენემ იმათი სახელები, ამის გამო ყმაწვილი დიდ წვალებაში იყო. ლოდიკური ევარჯიშობის მაგიერ ყმაწვილს უნდა ეომა ასოების ხმაურებისა და იმათი სახელების უთანხმოებასთან. იმას ან მცხანიკურად უნდა ეხეობრივინა, ან არა-და თვითონვე, მასწავლებლის შეუწყენელად, უნდა მიხედარილიყო, რომ თითუელი ასო გამოხატავს მარტო ერთ ხმას, რომლითაც იწყება ასოს სახელი. ამ დახეობრივამდის, ან მიხედვარამდის, ბევრი ჰსწყდებოდა ყმაწვილს და ბევრი დროც გადიოდა. ამის გამო იმას, რასაკვირველია, დაეკარგებოდა გულისწყურის, ან არა-და ჭამივით შეჰძძულდებოდა კითხვა და წერა. წესი მცხოვრებ იყო: თუ გინდოდა შეიკლავდი უფრო ახალი, შემოიღეს ჩვენი რუსული „ანბანების“ წაბამით; ამ მეტოდით ანბანს შემდეგ ასწავლიდნენ მარტელებს და მერმე ამოხატებს დაწყებინებდნენ. ეს მეტოდა ეთიომც ერთი ბიჯით წინ არის პირველზედ, მაგრამ ეს ისევ ის პირველი მეტოდაა, ამიტომ რომ ასოების ნამდილი მნიშვნელობას ყმაწვილი ტყობილობს მარტელების ზეპირობით, როგორც პირველ შემთხვევაში — სიტყვების ზეპირობით. ამ მეტოდით არის შედგენილი უფ. პ. იოსელიანისა და უფ. პ. შიშკაშვილის „ანბანები“. შიშკაშვილის „ანბანს“ ამ გვარად იმიტომ ემსთეო, რომ სწავლების დარაგებაში შემდგენელი არ ამზობს, როგორ უნდა ასწავლონ ასოები, — იმათი სახელებიდან, თუ ხმებიდან, რომელითაც ისინი გამოხატვენ. ეს „ანბანი“ განსხვავდება უფ. პ. იოსელიანის „ანბანისაგან“ ერთი კარგი თვისებით: შემდგენელი უარეფს მასწავლებლებს, რომ ასოები და იმათი წერა ერთ დროს უნდა დაწყებინონ, რომ ამ გვარად წერამ გაუადვილოს ყმაწვილის ასოების გამოხატულობის დახსოვნა, სხვა განსხვავება კი ლაპარაკათაც არ ღირს.

მესამე მეტრალა შემოიღო ჩვენში უ. ბო-
გებაშვილმა. ამ მეტრალით სწავლება იწყება
სიტყვებიდან: ყმაწვილმა უნდა დასწავლოს
ჯერ რამდენიმე [ათიოდ] სიტყვის წაითხნა,
მერმე უნდა სიტყვების შემადგენელი მარცე-
ლები და ბოლოს ის ნიშნები, რომელნიც
გამოხატვენ მარცვლების შემადგენელ ხმებსა.
ძველებური მეტრალით ყმაწვილი მაშინ იწყე-
ბდა ამოსაღებს, როცა იმან ბეჯითად ისტორია
მარტყი, ასაკების გამოხატულობა. თუ იმას
კითხვა უძნელდებოდა, უძნელდებოდა ნამეტ-

მეოთხე მეტოღით სწავლება იწყება ასო-
ბიდან. შემდეგ აკითხებენ მარცვლებს და ბო-
ლოს სიტყვებს. ეს მეტოღა იმათი განსხვავ-
დება პირველი ორისაგან, რომ ასოებს თავ-
დაპირველადვე ისე გამოათქმევინებენ, რო-
გორათაც ისინი სიტყვებში ხმაურობენ. ამ
გვარად კითხვის დროს ყმაწვილის გონება
აღარ იზნევა ასოების ხმაურობისა და იმათი
სახელების უთანხმოებით. ამ მეტოღას გვირ-
ჩეს უ. ზოგებაშვილი თავის „მანანის“ მე-
სამე და მეოთხე გამოცემით. უნდა შევნიშ-
ნო, რომ ამ უკანასკნელი მეტოღით კითხვა
და წერა ერთსა და იმავე დროს იწყება, რო-
გორათაც უ. შიკაშვილი გვირჩეს.

შ. ზოგებაშვილი და უ. მლიოზიშვილი ერთ ხმად ამბობენ, რომ მესამე და მეოთხე მეტოლა ჰსჯობია პირველსა და მეორესა. მაგრამ იმ კითხვამდე, თუ რომელი ჰსჯობია: მესამე თუ მეოთხე, იმათი ხმა განიჟღერა. „პანანის“ წინა სიტყვაობისაგან ჰსიანს, რომ უ. ზოგებაშვილი, მგონია, მესამე მეტოლას ამჯობინებდა, თუ რომ მასწავლებლებს შეჰსძლიებოდათ იმისი ხეირიანად მოხმარება; უ. მლიოზიშვილი კი იმას ამტკიცებს, რომ მესამე მეტოლა დიდად ჰსჯობია მეოთხესა და იმდენად, რამდენადაც მეოთხე პირველსა და მეორეს. ამიტომაც ის უწყალოდ ჰსცემს უ. ზოგებაშვილის მეტოლის შეცვლისათვის და ხშირად იმისთანა შეცდომისათვის, რომელმედაც ლაპარაკი, ჩემის აზრით, არ იყო საჭირო.

შეჩერდეთ კრატათი ამ კითხვის ასახსნელად: რითი ჰსჯობია მესამე მეტრად თუნდ ჩვენ მამა-პაპურ მეტრას? „იმითია, რომ ამ მეტრდით სწავლება იწყებოა სიტყვებიდამ და არა ასოებიდამ, რომ ასოები არა აზრს არა ჰხატავენ, არა საგანს არ აჩვენებენო და სიტყვებს კი ქველას მნიშვნელობა აქვსო. მაშა სადამე და სხვ.....“ „ეს არის უ. ზოგებაშვილის სიტყვები, გადმოგვცლილი „მნათობში“ ძეორედ გამოცემული „ანბანის“ წინასიტყვაობიდან, რომელთაც უ. მლიოზიშვილი ეთანხმება. თუმცა ამ აზრის წინააღმდეგს უ. მლიოზიშვილი ექადის უფუნურთათანა შერატყვასა, მაგრამ მე შინც უნდა ვჰსთქვა, რომ ეს აზრი არ არის ჭეშმარიტი. თუ სიტყვებიდამ სწავლების დაწყება შართო იმიტრამ არის კარგი, რომ ისინი „რაიმე აზრს ჰხატვენ, რაიმე საგანს აჩვენებენ“, ჩვენ უთუოდ უნდა მოველოდეთ, რომ ადრე თუ გვიან უ. მლიოზიშვილი გვიჩვენეს, მიემართოთ ეგვიპტელუბისა და ძველი ამერიკელუბის სიმეოლოურ წერა-კითხვასა. მაშინ ყოველსავე ასოს ექნება ის თესებები, რომელთაგამოც ის, და იქნება უ. ზოგებაშვილიც, ამჟობინებს სიტყვებიდამ სწავლების დაწყებასა. მაგრამ ეგვიპტური და ძველი ამერიკული წერა-კითხვის შემოღება ძალიან ძნელია, შეუძლებელია და, შართოა რომ ეჰსთქვათ, საჭიროც არ არის, ამიტრამ რომ მესამე მეტრდით ჩვენ ძალიან ანლო ვართ ეგვიპტურხედ. მეგვიპტურად და ამერიკულად ერთი სიმეოლოური ნიშანი გამოხატეიდა. მთელ სიტყვას, ან მთელ აზრს. მესამე მეტრდით ჩვენებური კითხვის სწავლება იწყება სიტყვებიდამ; თითოეული სიტყვა გამოხატულია რამდენიმე ნიშნის მჰკრივით, ანუ რითული ნიშნით. შაწეილმაუნდა დაისწავლოს, თუ რომელი მჰკრივი ნიშნებისა რა სიტყვას გამოხატავს. ამ გვარი სწავლება სწორედ ეგვიპტურსა ჰგავს, თუ ყმა-

წვილის მოვითხოვთ, რომ იმან დაგეგმოს ~~წვილის~~ წვილის, ან დაბეჭდილი სიტყვების გამოჩა-
ტულობა და არა მარტო ამ გამოჩატულობის
მიდებარეობა, ე. ი. თუ მოვითხოვთ, რომ იმან
იკლდეს კითხვა და არა მარტო ჩვენება. მა-
გრამ ჩვენ არ შეგვიძლიან კმაწვილისა-
გან ეს მოვითხოვოთ, რადგანაც რთული ნიშ-
ნების დახსოვება შეუძლებელია მაშასადამე
ეს მესამე მეტრად, ამ მხრით განხილული,
სულ ცოტა რომ ესთქვათ, უსაფუძვლოა და
უსტუდესია ძველებურ მეტრადანგად.

მაგრამ შეიძლება მივასუსხონ, რომ, როცა
ყმაწვილი კითხვას სიტყვებიდან იწყებს, მა-
შინ ის არ სწავლობს, რთულ ნიშნებს; ანუ
რამდენიმე ნიშნებისაგან შედგენილ მწკრი-
ვებს; პირველისავე წაკითხვით ის ცოტაოდ-
ნად არჩევს ყოველ მწკრივში თითოეულ
ნიშანს ერთი მეორისაგან. პითხვის თანდის-
თან განმეორებით ყმაწვილს უფრო ცხადად
ჩვენებას როგორც ასოების სხვა-დასხვა
გვარი გამოხატულება, ისე ხმაურობაც. ბო-
ლოს ტყობილობს, თუ რომელი ასო რა-
მელი ხმის გამოხატულებაა. თუ ეს ასეა, თუ
ყმაწვილს კითხვის დაწყებიდანვე თან-და-თან
უფრო ცხადად ესმის როგორც გამოთქმუ-
ლის, ისე დაწერილი სიტყვის რთულობა, თუ
ყმაწვილი თან-და-თან უფრო ცხადად ჰყო-
ლობს თანხმოვას ასოებსა და იმათ ხმაურო-
ბას შორის და იხსოვებს ამას, თუ გონებითი
შრომა შესაძლებელია და სასარგებლოა ყმა-
წვილისათვის, მაშ რატომ ეძაფრთ სიტყვებს მა-
რცელებად და მარცელებს ასოებად? შთაუოდ
იმისათვის, რომ ყმაწვილს გაუადვილოთ ე-
შრომა. მაგრამ, თუ ეს შრომა ისე ძნელია,
რომ ყმაწვილისათვის საჭიროა ჩვენი შემწე-
ობა მაშინ, როცა იმან ცოტაოდენი გაიგო,
მე მგონია, უკეთესი იქნებოდა შეეწოდით
თავიდანვე, მიგვეღო იმისთანა მეტოდა, რა-
მელიც არ მოითხოვდა არც ამდენს შრომას
და არც შეწევას, ე. ი. დაგვეწყა ასოებიდან
სწავლება. ჩვენზედ დამოუკიდებელი გონები-
თი ვარჯიშობა უფრო სასარგებლო იქნებო-
და ყმაწვილისათვის.

მინ იცის, იქნება უ. შლოზი¹ შეიღი კიდევაც დაგეთანხმებოდა უკანასკნელს ჩვენ რჩევაზედ, მაგრამ იმას ის აწუხებს, რომ ასოები არა აზრს არა ჰხატვენო, არა საგანს არ აჩვენებენო. მე უნდა ვუპასუხო, რომ ასოებს ყველას აქვს მნიშვნელობა. შესაძლოა, რომ სიტყვების გამოხატულობა, დაწერილობა [სახელების] შთაბეჭდილება გვაგონებს სიტყვების ხმაურობას [სასმენელის] შთაბეჭდილებას და სიტყვების ხმაურობა ბუნების წმკებს და მოვლინებებს. დიდხნის ეარჯიშობის გამო ჩვენ ისე შეგვიჩნით ამ გზით ნივთებისა და მოვლინებების წარმოდგენას, რომ ხმაურობა და გამოხატულობა ჩვენთვის ერთია, რასაც ერთი მოგვაგონებს, იმას მეორეც. მაშასადამე, თუ დაწერილს, ან გამოთქმულ სიტყვას შეუძლიან მოგვაგონოს ნივთი, ან მოვლინება, ასომ და ასოს გამოთქმამ რაღა დააშაფა? ხმაც ერთი მოვლინებათაგანია. ძვეყანაზედ ჩვენ გვესმის მრავალ გვარი ხმა. ჩვენი სიტყვები შესდგებიან უმარტივეს ხმებისაგან. თითოეულ მარტივ ხმას, ბუნებითს ან კაცობრიულს, თვისი სახელი აქვს; ეს სახელი არის იმავე ხმის განმეორება. თითოეული ასოს გამოხატულება გვაგონებს ერთის, ან მარტივად შეერთებული ორი ხმის [diphthong] სახელს. ამ სახელების გამოთქმა მოგვაგონებს იმ ხმებს, რომელნიც ჩვენ ოდესმე გავგიგონია. მა რადგანაც ხმაურობა და გამოხატულობა ჩვენთვის ერთია, ამის გამო როგორც ასოს გამოთქმას, ისე იმის სახეს თანასწორად შეუძლიანთ მოგვაგონონ ის ხმებს, რომელნიც ჩვენ სასმენელში შთაბეჭდილან. ეს მოგონება ანუ წარმოდგინება მით უფრო აღვილია, რომ ხმის სახელი არის თვითონ ხმის კოპია, მაშინ როდესაც სიტყვები

სრულიად არა ჰგავნან ნივთებსა და მოვლი-
ნებებს. მაშასადამე ჩვენ არ შეგვიძლიან
უპოვებოდ, რომ „ასოები არაფერს არ ჰხატვენ,
არაფერს არ გვაგონებენ“. თუ ეს ასეა, რა-
ლათ ვიწყებთ სწავლებას სიტყვებში?

მაგრამ იქნება ამ მესამე მეტრადს ემაწი-
ლის გონება გადამკვედს ცნობილიდამ უცნო-
შეღებდ? იქნება ეს მეტრად ანალიზური იყოს
და ამასთან მწიგნობრობის ისტორიასაც ეთა-
ნხმებოდეს?

მე არ შემოძლიან ესტეკა, რომ რთული და
გაგრძელებული მარტივი ხმები უფრო ხში-
რად არ გვეხმოდეს, უფრო ბევრს რასმე არ
გვაგონებდნენ და უფრო ნათლად, ვინც
მოკლე მარტივი ხმები. მაგრამ, უცვლელია,
რომ უკანასკნელები იმნარსავე ნივთებსა და
მოვლინებებს გვაგონებენ, როგორცაც პირ-
ველები. ამ შემთხვევაში ასოებისა და სიტ-
ყვების ხმაურობას შუა ყოფილარადგნობი-
თი განსხვავება და არა ეთარგმნითი რასავე-
რეულია, ესეც საკმაო იქნებოდა იმისთვის,
რომ სიტყვებდამ სწავლების დაწყება შეგვე-
რატა ანალიზური მეტრად, რადგანაც ემა-
წილისათვის სიტყვების ხმაურობა, რაც უნდა
იყოს, უფრო ცნობილი, ვინც ასოების ხმა-
ურობა; მაგრამ იმის საცნობელად, რომ სი-
ტყვების ხმაურობა შესდგება ასოების ხმა-
ურობისაგან, საჭიროა გავება და არა დასწავლა.
წერა-კითხვის სწავლის დროს ჩვენ ესწავლობთ
მარტო იმას, თუ რა ხმას რა ნიშნით გამო-
ხატვენ კაცები. მისაც წერა-კითხვა არ უსწა-
ვლია, იმისთვის როგორც ასოების გამოხა-
ტულობა, ისე სიტყვების გამოხატულობაც
ერთნაირად უცნობელია. მაშა სადამე ამ შემ-
თხვევაში ანალიზური მეტრად უნდა იყოს
ის მეტრად, რომელიც იწყებს სწავლებას მარ-
ტივიდამ და ადვილიდამ და გადადის რთულ-
ზედ და ძნელზედ.

მესამე მეტრად, რა მხრითაც უნდა შევხე-
დოთ იმას, არ არის ანალიზური. ზევით, რო-
ცა მე განსაკუთრებით მესამე და მეოთხე მეტრ-
ადზედ დაიწყე ლაპარაკი, წარმოვიდგინე ორ-
გვარი შემთხვევა: როცა ემაწილები სწავლას
სიტყვებდამ იწყებენ მეოქი, ისინი ან სულ
ვერ არჩევენ და ვერ იხსომებენ რთული ნი-
შნების მწკრივსა, ან, თუ არჩევენ, ცოტა-
დნათ მეოქი. ამ მეტრადით სიტყვები უნდა
დაიწყოს მარცვლებად და ესენი ასობად, ად-
ვილი მისახედრია, რომ ემაწილოს გონება
პირველ შემთხვევაში გადადის უცნობელიდამ
უცნობელზედ და მეორე შემთხვევაში ცო-
ტათი ცნობილიდამ ცოტათი ცნობილზედვე,
ე. ი. იმეორებს. მაშასადამე, ამ მხრით, სიტ-
ყვებდამ სწავლების დაწყება არ არის ანალი-
ზური მეტრად, თითქმის მეტრადაც არ არის.
სიმარტივისა და სიადვილის მხრით, ამ მეტრ-
ადზედ ლაპარაკი განა საჭიროა? მანა ცხადი
არ არის, რომ ცალ-ცალკე ასოები უფრო
მარტივი არიან და უფრო ადვილი დასასწა-
ვლი, ვინც რთული ასოების მწკრივები, რო-
მელიც გამოხატვენ სიტყვებსა? მაშა სადამე
ჩვენ უნდა „დავადგეთ მეტრად“ მეოთხე
მეტრადს, რომლითაც სწავლება იწყება ასო-
ებდამ. ეს მეტრად წერა-კითხვის კანონსაც
ეთანხმება. წერა-კითხვის დროს ჩვენ სიტყვებს
ასობად არა ვხედავთ, ჩვენ ასობდგან სიტ-
ყვებს ვადგენთ: წერა და კითხვა არის გამო-
ხატვა და გამოთქმა ასოებისა ზედიზედ, ერთი
მეორის შემდეგ.

ისტორიაც მეოთხე მეტრადისავე არის. პა-
ცობრიული ენა ისტორიულად მარტივი ხმე-
ბისაგან შემდგარა. წერა-კითხვა, მართალია,
სიტყვებდამ არის დაწყებული, მაგრამ აქედამ
ჩვენ არ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ ასო-
ებდამ სწავლება ვითომ უფრო ძნელი იყოს.
შეხოლოვითრად და ფსიხოლოგიურად
შეუძლებელია, რომ ცაცობრიობას ხსომებო-
დეს როდესმე თავისი ენის წარმოება. ამისი
ხსოვნა ისე არ შეუძლია იმას, როგორათაც

თითოეულ ჩვენგანს არ შეუძლიან გაიხსენოს,
თუ როდის და რა ნაირად დაიწყო მან ლა-
პარაკი. მაგრამ დიდი ხნის დაკვირვებით თი-
თოეულმა იცის დაახლოვებით, თუ როდის
და რა ნაირად იწყებს ემაწილი ლაპარაკს.
ამ გვარი დაკვირება ევლური ხალხების ენე-
ბზედ და ფილოლოგიური გამოკვლევა საზო-
გადოდ შესაძლებელი შეიქნა ძლიერ გვიან.
წერა-კითხვა გამოგონებულია უფრო ადრე.
ამ გამოგონების დროს კაცობრიობამ სრუ-
ლიად არაფერი იცოდა თავის ენის ისტორია-
ზედ, ფილოლოგიურ ცოდნას ის მოკლებუ-
ლი იყო სრულიად. ამის გამო თავდა პირვე-
ლი წერა-კითხვა იყო სიმეოლური. იმის შე-
სატყობლად, რომ კაცის ენა შესდგება რამდე-
ნისამე ათი მარტივი ხმისაგან და ამ ხმების
თეის ცალ-ცალკე ნიშნების გამოხატულებად
საჭირო იყო უუნოქიერესი კაცები და მრავა-
ლი ასი წელი. ბოლოს დიდი ფიქრით და
გამოცდილებით მივიღენ იმ წერა-კითხვა-
მდის, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ. ამ
გვარი წერა-კითხვა კაცობრიობამ უფრო ად-
ვილად ჩასთვალა და სიმეოლური დაუტყვა.
და ენლა გვიჩვენენ, რომ სწავლება სიმეო-
ლურის მსგავსი წერა-კითხვით დაიწყეთ!

ამ თავის რჩევას უ. მლიოზიშვილი ამა-
რებს სხვათა შორის ვითომც მსტერევეის
აზრზედ. ეს გამოჩენილი პედაგოგი ერთ ალავს
ამბობს, რომ „ჩვენის აზრით, ღირსება რო-
მლისამე მეტრადისა სრულიადაც არ ჰქილია
იმზედ, თუ რამდენად უმსუბუქებს
ემაწილებს რომელიმე მეტრად ჯაფას და
შრომას; ამის წინააღმდეგ ნიჭიერების და-
ძალადება, რომელსაც მოითხოვს ხმო-
ვანი მეტრად არისა ერთი უპირველესი
ღირსებათაგანი“. აქ უ. მლიოზიშვილს გაუ-
კეთებია საკუთარი შენიშვნა, რომლითაც
ამბობს, რომ „ხმოვანი მეტრად არი-
სა ის მეტრად, რომელიც სიტყვებიდამ
ე. ი. ხმებიდამ იწყება“. მეორე
ალავს ესევე მსტერევეი ამბობს, რომ
„ჩვენ მტკიცედ ვართო დარწმუნებული, რომ
კითხვის სწავლა უნდა დაიწყოს არა იქი-
დგან, რომ მოწაფებმა დასწავლონ სიტ-
ყვების წარმოადგენელი ნიშნე-
ბი—ასოები, არამედ თვით ხმებიდგან,
რომლებსაც ის ნიშნები—ასოები ხატვენა“.
მესამე ალავს ამბობს, რომ სწავლის
დაწყება პირდაპირ ასოებიდგან
უსარგებლოა.

რომ სიტყვა ნამეტნადარ გავრძელებს,
ეიტყვი მხოლოდ, რომ უ. მლიოზიშვილი
თავის აზრს ამყარებს თავის გაგებაზე და არა
მსტერევეის აზრზედ. იმას ავიწყდება, რომ
„სიტყვა“ საზოგადოდ არ არის არც „ხმა“,
არც „ხმები“, არამედ „შეერთებული ხმები-
სა და იმათი გამოხატულები ნიშნებისა“, — რომ-
„ასო“ სხვაა და „ასოს ჩვეულებრივი სახელი“
სხვა; „ასო“ ნიშნავს „ასოს ხმაურობასა და
გამოხატულობას“, „ასოს ჩვეულებრივი სახე-
ლი“ ნიშნავს „რამდენისამე ხმის შეერთებუ-
ლებს“, რომელიც წერისა და კითხვის დროს
სრულიად გამოუსადეგარია. ამ შეცდომის
გამო უ. მლიოზიშვილს მსტერევეის ნამდი-
ლი სიტყვების შეცვლით და თავისებურის
განმარტებით ძალიან შეუცვლია მსტერევე-
ის აზრი.

მსტერევეი ამბობს: „ჩვენის აზრით, ღირ-
სება რომლისამე სასწავლებელი მეტრადისა,
სრულიადაც არა ჰქილია იმაზედ, თუ რამდე-
ნად უმცირებს ის ემაწილს შრომისა და ფი-
ქრს; წინააღმდეგ ამისა, ღონისა და ნიჭიერე-
ბის შემოკლება ანუ მოხმარება, რომელსაც
მოითხოვს ემაწილისაგან ხმოვანი მეტრად,
არის ერთი იმის უმთავრეს ღირსებათაგანი“.
ამ სიტყვებმა რომ ვინმე ეტყვი არ შეიყუა-
ნოს, უნდა შევნიშნო, რომ ძველი მეტრად
არ მოითხოვდა ემაწილისაგან არა ვითარ
ფიქრსა და ნიჭიერების მოხმარებას, ხსოვნას

გარდა, და ხსოვნის შემწეობით მჭირველე-
ბიც სწავლობენ კაცურ სიტყვებს. მეორე
ალავს მსტერევეი ამას ამბობს: „ჩვენ მტკი-
ცედ და სრულიად დარწმუნებული ვართ,
რომ კითხვის სწავლება იქილამ კი არ უნდა
დაიწყოს, რომ მოწაფებმა დასწავლონ საწე-
რი ნიშნების ანუ ასოების სახელები, რომე-
ლიც ჩვენ იმათთვის უსაფუძვლოდ დავირ-
ქმევია, არამედ უნდა დაიწყოს თვითონ ხმე-
ბიდამ, რომელიც ამ ნიშნებით გამოხატე-
ბიან“. მაგრამ როგორ შევთანხმოთ ეს ადგი-
ლი მესამე გამოწაწერის აზრთან: „პირდაპირ
ასოებიდამ დაწყება უსარგებლოა“. ეს იმას
არ ნიშნავს, რომ წერა და კითხვა სიტყვები-
დამ უნდა დაიწყოს. მსტერევეი იქვე ამბობს,
რომ კითხვა წერის დაწყებამდის ემაწილს
უნდა გააგებინოთ, რომ სიტყვა შესდგება
მარტივი ხმებისაგან, რომ შეერთებით გამო-
თქმული მარტივი ხმები შეადგენენ სიტყვას.
ამას მსტერევეი ეძახის წერა-კითხვისთვის
შრომასა და ეტყვი, რომ ესაა „შრომისა და
მისოთ პირდაპირ ასოებიდამ სწავლების და-
წყება უსარგებლოა; მეტადრე ეტყვი წლითა-
ნებისათვის“.

შოველივე ეტყვის გასათანჯათ მოვიყვან
მსტერევეის წიგნიდგან კიდევ ერთ ალავს:
„ხმოვანი მეტრადის უმთავრესი ღირსება იმა-
ში კი არ მდგომარეობს, რომ ამ მეტრადით
ემაწილი უფრო ჩქარა სწავლობს წერასა და
კითხვას, არამედ შემდეგს გარემოებებში: ამ
მეტრადით სწავლება იწყება ისე,
როგორც ჩვენი ენის ბუნება მოი-
თხოვს. ემაწილი ჯერ გაიცნობს
ხმებს ე. ი. კაცობრივი სიტყვის
უუმარტვეს ნაწილებს; მერე მა-
რტივი ხმებიდამ ის თანდათან
გადადის რთულ ხმებზედ. ამის-
გამო ემაწილი მიიღებს ნამდილ აზრს ჩვე-
ნი ენის შემადგენელ ნაწილებზედ და ამითი
დაედების მტკიცე საფუძველი იმის შემდეგს
ფილოლოგიურ სწავლას. რასაც ამ მეტრადით
სწავლების დროს ემაწილი საქმობს, ან იხსო-
მებს, საქმობს და იხსომებს სრულიად
გაგებოთ და ამითი დაედების საფუძველი
იმის შემდეგს განმანათლებელსა და გონიე-
რულ სწავლას და ისპობა ყოველივე
უგუნური წერტანა ანუ მესხანი-
კური გაუგებარი ზეპირობა. ემა-
წილი ეჩვევა სალაპარაკო იარა-
ღებსა და ქტუის გონიერულად
ხმარებასა. ბოლოს ემაწილი სწავლობს
ცხადლ, ნამდილად და სამართად კითხვას“.

მე მგონია, რომ უ. მოგებაშვილის „ანბა-
ნის“ პირველი ორი გამოცემა და უ. მლიოზი-
შვილის ეხლანდელი რჩევა არის იმის შემდე-
გი, რომ იმათ მსტერევეის წიგნი უყურად-
ღებოდ წაუკითხავთ.

ამ გვარად ყველა ზევით ნათქვამისაგან
სჩანს, რომ მესამე მეტრადს დიდად სჯობია
მეოთხე. როგორც ზევითა ესტეკი, უ. მოგებაშვი-
ლის „ანბანის“ მესამე და მეოთხე გამოცემა
შედგენილია ამ მეოთხე მეტრადით. მაგრამ
ამ „ანბანის“ სხვათა შორის ერთი რამეა კლია.
ეს ნაკლულევანება არის მეტრადური: შემდეგ-
ნელი არ ურჩევს მასწავლებელს, რომ სწა-
ვლება მოსამზადებელი ვარჯიშობით დაე-
წყოს, რადგანაც ამას მოითხოვს ანალიზური
მეტრადის სისრულე. მეორე მეტრადური ნა-
კლულევანება უ. მოგებაშვილის „ანბანისა“
ის არის, რომ ასოების გაცნობა ჩვეულებრივ
ანბანის რიგს მიჰყვება, მაშინ როდესაც საჭი-
რო იყო, რომ შემდეგნელს მიეღო მხედვე-
ლობაში ასოების გამოთქმისა და გამოხატუ-
ლობის სიმარტივე და სიადვილე. მესამე ნა-
კლულევანება არის პრაქტიკული: ანბანი არ
არის გაყოფილი იმდენ გასაკეთად, რამდე-

ნის საჭიროა. ნაცალია, რომ ერთ გაკვეთად
ემაწილს არ შეუძლიან დაიხსომოს როგორც
გამოთქმით, ისე გამოხატულობით ორზედ,
ან სამ ასოზედ მეტი. ამ „ანბანში“ კი თითო
გასაკვეთი შესდგება ხუთი—ექვსი ასოსგან.

მაგრამ ანბანი რაც უნდა კარგი მეტრადით
იყოს შედგენილი, ვერ მოიტანს ჯეროვან
სარგებლობას, თუ მასწავლებლები კარგი არა
გვეყვანან. სული მასწავლებელი კარგი მეტრ-
ადითაც ცუდად ასწავლის. ჩვენ შეკლებში და
განსაკუთრებით ოჯახებში რომ ცუდი მასწა-
ვლებლები გვეყვანან, ამაზედ ეტვი არ არის.
შემეტყვამ ნაწილმა არც კი იცის თუ ძველე-
ბური მეტრადზედ უკეთესი მოიპოვება; ამ გვა-
რებისათვის საჭიროა დარიგება; მაგრამ უბრა-
ლო დარიგება, ეს ასე, ის ისე, სარგებლო-
ბას ვერ მოიტანს. ამგვარი დარიგებით სწა-
ვლებს მოაკლდება დამოუკიდებლობის ხასია-
თი და შეიქნება რუტინად. დარიგება იმ ნაი-
რი უნდა იყოს, რომ ყოველ წერა-კითხვის
მცოდნეს შეეძლოს ახალი მეტრადის შეთვი-
სება. მხოლოდ მაშინ შეიძლება ის თავისუ-
ფლად სწავლებას და სხვა და სხვა გარემოე-
ბასთან ჯეროვან მოთავსებას. ამ გვარი და-
რიგება აკლია უ. მოგებაშვილის „ანბანს“ და
ეს ნაკლულევანება არის უმთავრესი.

„პირველ საკითხავ წიგნზედ“ და „ბუნების
კარზედ“ ლაპარაკი გვექნება ამ სტატიის მე-
ორე და მესამე თავში.

სილოკაძე.

პოლიტიკა.

შრანცი.

პარიჟი. 6 დეკემბერს. შრ. Parle-
ment-ის სიტყვით, მარცხენა მხრის (გაპოზი-
ციის) დეპუტატებს აქეთ სახეში წინადა-
დების შეტანა პალატაში, რომლითაც ყველას,
ვინც კი პოლიტიკური საქმეების გამო წასუ-
ლია შრანციდან, უნდა მიეცეს დამრუხების
უფლება; მაგ. რესპუბლიკელებს, ადრინდელი
დინასტიის შთამომავლებს, ლედიუ-როლენს
და სხ.—ამას გარდა ამ დეპუტატებს ჰსურსთ
წარადგინონ ახალი პროექტი ამორჩევის კა-
ნონების თაობაზე; ამ პროექტის ძალით უნ-
და მოისპოს დეპუტატების მიერ ფიცის მიღე-
ბა და ყოველი დეპუტატი მანამდედგელი
ძირაუსისა ექვსი წლის მაგიერ სამი წლით
უნდა ამორჩეოდეს.

— 26 ნოემბ. (8 დეკემბ.) მანონდ-
გელი პრეზიდენტი სხდომაში რასა-
ილმა და რომლორმა შეიტანეს კანონის პრო-
ექტი, რომლის ძალით: მარცხენა უნდა მიეცეს
უმთავრესი უფლება, ქალაქებში ზოგი მოსამსა-
ხურე პირები თვითონ ქალაქმა უნდა ამორჩი-
როს და ომის დაწყებისა და მორჩევის უფ-
ლება უნდა ჰქონდეს მინდებული მარტო მა-
ნონდგელ პრეზიდენტს.

— შინაგანი საქმეების მინისტრმა წარმოს-
თქვა ამ სხდომაში სიტყვა, რომელიცაც ის
აქხადებდა, რომ მმართველობას ნამდილი
თავისუფლების დამკვიდრება ჰსურსო და რომ-
ელიმე გაჭირების დროს ის მოქმედებსო
ბრძნულად და მკიდრით. ჩვენ მხარეს დამატა
მინისტრმა, რევიოლუცია არა სურს, იმას უნ-
და ლიბერალური და ამისთან (ხელ მძლავრი
მმართველობა; და ამისთანა მმართველობა კი-
დეცა ეყოლება იმასა.

ზაზეთს „Liberté“-ში სწერენ: „არც შრან-
ციში და არც საზოგადოთ მეროპაში არას-
ოდეს არ ყოფილა ასე დახლართული საქმე-
ები, როგორც ახლა არიან: შრანცია თხო-
ულობს თავისუფლების მინიჭებას; ისპანის
ჯერ კიდევ ვერ მოუწახავს თავის ტახტისთვის
კოროლი; იტალიაში ახალი სამინისტროა ჯე-
რაც არ შემდგარა; პრუსიის სედილობს მერ-
მანის სახელმწიფოების შეერთებას და მის-
მარკის პროგრამის სისრულეში მოყვანას;
ავსტრია ეძებს მომხრეებს, რომ პრუსიასთან

ომი გამართოს, იმას ჰსურს დაუახლოვდეს რუსეთს ან შრანციას და პრუსიის დამარცხოს, ან დაუახლოვდეს პრუსიასა და შრანციასთან და რუსეთთან გამართოს ომი; მსმალეთი და მეგობრივი ეს არის შეტყაობის ეპიზოდები. (შენასწავლი ცნობა არის, რომ მსმალეთსა და მეგობრის შუა მორიგება მოხდა).

— **ზაზეთი „Reveil“** დაბეჭდილია მოწოდება, რომელიც დასწერეს 29 ნოემბერს ალექსიის კრებაში. აი ეს მოწოდება: „ჩვენს ფრანკულ ჯულს თანამოქალაქეთა და წარმომადგენელ კრებათა“. ალექსია განუყრელად შეერთებულია შრანციის იმპერიასთან. ამა განცხადების შემდეგ ალექსიაში მცხოვრებნი შრანციის ევინალ-მდეგებიან ყოველს სხვა კონსტიტუციას, გარდა იმისა, რომელიც თვითონ შრანციაში იქნება დაწესებული. ამისთვის ისინი ითხოვენ თანასწორ სიმართლეს შრანციაში მცხოვრებ ფრანკულებთან; ვითხოვთ, რომ გაუქმდეს სამხედრო გამგეობა და დაარსდეს სამოქალაქო მმართველობა. შრანციის მოსახლეთა ალექსიაში მიჩნიათ თავისი ბედი და უბედობა განუყრელად შეერთებულია სხვა ფრანკულებთან და ამისთვის მხოლოდ განმარტებულ პრებს რაცხვენ უფლების შექმნით, რომ გამოსცეს ყოველგვარი კანონი ალექსიისათვის; და ამისთვის ვითხოვთ, რომ ჩვენ დიდგანაც აღიჩინონ წარმომადგენელნი კანონმდებელ კრებაში“.

— **პარიკი, 28 ნოემბ. (10 დეკემბერს).** ღღეს ერთს აქაურს სასამართლოში განიხილეს გაზეთი „Rappel“-ის რედაქტორის და გამომცემლის — შ. პიულოსა და ბარბის საქმე, რომელთაც ამტყუნებდნენ იმას, რომ ვითომ იმათ უნდოდათ უთანხმოება ჩამოეგდოთ სალდათებსა და იმათ უფროსებთ შორის. შ. პიულოს გარდაუწყვეტს ოთხი თვით ციხეში დამწყვედვად და 1,000 ფრანკი ჯარიმა და ბარბის ორი თვით დაქვრად და 1,000 ფრ. ჯარიმა. ამ საქმის გარჩევის დროს სასამართლოს თავმჯდომარემ რამდენჯერმე შეაჩერა ბრალდებულების მოსაჩივრებები (აფეკატები) — შ. პიულო და ბარბი. პიულოცა ისეთ ნაირად აღუვსებელი იყო რომ თავმჯდომარე იკუთხებოდა იყო დეკლარაცია ის სასამართლოს ზალიდან.

ავსტრია და პენზია.

3 ენა, 27 ნოემბ. (11 დეკემბ.). ღღეს გაიხსნა ორივე (მალაი და მდებალი) პალატები რეისრატის (ხალხის წარმომადგენლები კრება). პირველს საათზე გრაფ ტაჟმე გახსნა მალაი პალატის სხდომა და ამ დროს სიტყვა შემდეგი სიტყვები: „მისმა უდიდესობამ იჩნება ამ სესიისათვის პრეზიდენტად თ. აუერსპერგის დანიშნვა და ვიცე-პრეზიდენტებათ ბარონის ღირსისა და გრაფის მრბონისა. მე მაქვს მონდობილი წარმოგიდგინოთ ისინი თქვენ და მოვიწვიო, რომ თავიანთ ადგილებზე დასდნენ.“ — ამის შემდეგ თ. აუერსპერგი დაჯდა პრეზიდენტის ადგილზე და წარმოასტევა სიტყვა, რომელშიც იმან უჩვენა-თუ რა უნდა გააკეთოს რეისრატმა. „რეისრატის ვალდებულება ის არის, სიტყვა იმან, რომ ყოველი ღონისძიებით ეცადოს კონსტიტუციის დაცვასა და მონახოს საშუალებები თავისუფლების და კეთილდღეობის გავრცელებისათვის“.

— **3 ენა, 29 ნოემბერს (11 დეკემბერს).** — ღღეს დაიწყო რეისრატის სხდომა; ორშაბათს იმპერატორი შრანციის იტყვის ტახტიდან სიტყვას.

იტალია.

„Reforme“-ის სიტყვით, მაქმინი გამოსულა ლონდონიდან და ამ ქამად ბერმანიში მოგზაურობს.

— **რომი, 4 დეკემბერს.** მსოფლიო კრებაზე დასასწრებათ 500 ეპისკოპოსამდე შეკრებილან; ამათ რიცხვში, როგორც გაზეთებში

სწერენ, ყოველ გვარი ხალხის წარმომადგენლები არიან.

— **რომი, 27 ნოემბ. (9 დეკემბ.).** ღღეს გაიხსნა აქ სხდომა მსოფლიო კრებისა, რომელზედაც რომის პაპმა პიო მე IX, სხვათა შორის, სიტყვა, რომ რიგია ენერგიულად წინ აღუდგეთ იმ უღმერთობებს, რომელნიც ვითომ თავისუფლებას ეძიებენ, მაგრამ ნამდვილად ეკლესიის დამარცხება ჰსურთ; ეკლესიას არაფრის არ უნდა ეშინოდეს, ის ძლიერ შევიდრეთ სდგას ახლო. შემდეგ იმან მიმართა ეპისკოპოსებს რათა იმათაც პაპთან ერთად მოიწვიონ განსამართლებლად კაცობრიობის ყალბი მეცნიერება და იზრუნონ ორდენების სიმართლეზე, ეკლესიისაზე და მონასტრებზე.

მეორე სხდომა მსოფლიო კრებისა დანიშნულია 6 იანვრისათვის.

— **ფლორენცია, 26 ნოემბ. (8 დეკემბ.).** ძველი მინისტრების რჩევით, მიქტარ-მმანუილმა ახალი სამინისტროს შედგენა უფ. სელლას მიანდა.

— **ფლორენცია, 29 ნოემბერს (11 დეკემბერს)** ზაზეთი „იტალიის კორრესპონდენტი“ იწერება ნებაყოლიდან, რომ აქ ანტი-კრება პოლიციამ დაითხოვა, იმის გამო რომ ყრილობის დროს წამოიძახეს: „ნაპოლეონს სიკვდილი! ღმერთთან აღდგომელონ შრანციის რესპუბლიკა“.

ამერიკის უმართავი შტატები.

6 იუ-იორკი, 15 (27) ნოემბერს. პუბლის რევილუციურმა იუნტამ, რომელიც მოქმედობს ნიუ-იორკში, გამოაცხადა პუბლის რესპუბლიკის კონსტიტუცია. უმართავი კანონები ამ კონსტიტუციისა არიან შემდეგნი: ყველა მცხოვრებნი პუბლის რესპუბლიკისა არიან დამოუკიდებელნი პირნი (ისპანიისაგან); ყოველი მოქალაქე ითვლება განმთავისუფლებელ ჯარში მოსამსახურეთ; რესპუბლიკის მოქალაქეებმა არ უნდა მიიღონ არა ვითარი ჯილდო და დასაშუქება უცხო ქვეყნისაგან; რესპუბლიკა არავის აძლევს განსაკუთრებულ უფლებებსა და პრივილეგიებს; ერის წარმომადგენელი პალატა ვერ შეადგინოს სარწმუნოების, სტამბის, განათლების, კრების და სხვა კაცთათვის მინიჭებულ ყოველგვარ თავისუფლებას. — კონსტიტუციის სხვა მუხლებში მოხსენებულია, რომ კანონის გამოცემის უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული მარტო იმ პალატას, რომლის წევრები თვითონ ერისაგან საერთო ხმის მიცემით იქნებიან ამორჩეულნი.

ისპანია.

მადრიდი, 3 დეკემბერს. მადრიდის ლებერნატორმა გამოუცხადა ისპანიის გაზეთების რედაქციებს, რომ იმათ ამიერიდან შეუძლიანთ ხელ-ახლად გამოსცენ თავიანთი გაზეთები.

— **მადრიდი, 30 ნოემბერს (12 დეკემბერს).** — ღღევანდელს ძორტესების სხდომაში პრიმი რომ უარს ამბობდა, სახელმწიფო დაწყობილების პირველ ქვეყნულ მდიანა და გულ მხურვალედ ლაპარაკობდა ბენუის გერცოგის კანდიდატობაზე; ისპანიის ტახტზე იმაზე უკეთესი ხელმწიფე არ მოხერხდება. ქასტელარმა წარმოსთქვა სიტყვა ამის შესახებ; ის ლანძღავდა როგორც საეოის სახელმწიფო სახლსა, აგრეთვე ნაპოლეონ III. იმან თქვა: მთელი მხარე ამ კანდიდატობის წინააღმდეგია; მაგრამ დემოკრატიული პარტია მაინც იხმარს მხოლოდ კანონიერ ღონისძიებას, რომ ეწინააღმდეგოს ამას და თავისი განზრახვა ასრულოს.

შვეიცრია.

ალექსანდრია, 26 ნოემბერს (8 დეკემბერს). მეგობრის ვიცე-კაროლი და

ეთანხმა ფირმანის მოთხოვნის მიხედვით და თვითონ ფირმანი სახალხოთ გამოაცხადეს, ასე რომ ამ ორ სახელმწიფოებთ შორის, იმედია, ყოველი უთანხმოება მოიშობა.

სხვა და სხვა ამბები.

აფრიკის შუა გული ადგილები ძალიან ნაკლებათ არიან გამოკვლეულნი; სწავლულებმა იცოდნენ მხოლოდ, რომ ეს ადგილები ეკვატორზეა და ამის გამო იქ საშინლად ცხელია; ამას გარდა ზოგიერთი თავგაწირული მოგზაურების, როგორც მაგალითად ლეინქსტონის, სპიკის და ბეკერის მაღლობით, ამ უკანასკნელ დროში შეიტყვეს, რომ იქ სცხოვრობენ ბევრგვარი ერი, რომელთაც არც განათლების და არც სარწმუნოების სხივი ჯერ სრულიად არ მიჰკარებიათ; ისინი არიან კერპთაყვანისმცემელნი და ტყის მსხვერპლით სცხოვრებენ. ამას წინეთ მარტო ბეკერმა და იმის ცოლმა მოიარეს აფრიკა და აღმოაჩინეს ერთი დიდი ტბა, რომლიდანაც გამოდის მეგობრის დამარჩენელი მდინარე ნილ ი. შარშან მეგობრის მმართველობამ მისცა სამუელ ბეკერს ორი ათასი კაცი ჯარი და სხვა ყოველგვარი ღონისძიება, რომ იმათი შემწეობით უფრო თამამად წასულიყო აფრიკაში და გამოეცლია ჯერ გამოუკვლეველი ადგილები და გაცნო იქაური ერი. აი რას იწერებინა ახლა ალექსანდრიიდან ამ ბეკერის ექსპედიციამ: ბეკერის ჯარი და სხვა და სხვა იარაღებით და სურსათით დატვირთული აქლემები ამ მოკლე დროებაში გასულან მეგობრიდან და წამართულან აფრიკის შუაგული ადგილებისაკენ. რაც ადგილებსა და ხალხებს დაიმორჩილებს ბეკერი ამ ექსპედიკაში, ისინი იქმნებიან მეგობრის ხელქვეშ და თვითონ ბეკერი იმათ ღენერალ-ლუბერნატრათ არის დანიშნული. მართი მხრით მიდის ჯარი თავის სურსათით და მეორე გზითა — პარანოდებზე ბეკერი, იმის ცოლი და ძმისწული. ამათ მიჰყვებიან ინჟინერები და სხვა და სხვა სწავლულები ახლად გამოჩენილი ადგილების გამოსაკვლევად.

წარსული ნოემბრის 30-ს გაიხსნა პეტერბურგს „შარაკის მოყვარეების“ კლუბი; ამ დღეს 40 კაცმა-კლუბის წევრებმა შეიკრიბნენ და სადილი გამართეს. კლუბის თავმჯდომარეთ გამოიჩინეს გამოჩენილი მოთამაშე — შუმოვი, რომელმაც პირველად დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო. შემდეგ დალიეს სხვა და სხვა გამოჩენილი მოქალაქეების სადღეგრძელოები და შესხმები წარმოსთქვეს. — რუსებს გარდა ამ კლუბის წევრებათ ბევრი ნემეცები, ამერიკელები და ანგლიელებიც არიან; იმის დანიშნულება ის არის, რომ წევრები შეიკრიბებოდნენ და ქაღრაკის თამაშში გაატარებდნენ დროსა.

კინტოური სიმღერა.

თავზედა მადგას დიდის თაბახით ხილი, დავდივარ და მალაის ხმითა ვუვირი, რომ ამ ხილში სრულათ არ არის კილი და ვფიცულობ! — მინტოს პირია პირი! მიჯერებენ, დამალოს ხილს ჰეიდულობენ, შესტამენ და ყველა ავით ხდებიან; მაინც კიდევ ჩემგანვე ჰეიდულობენ, რაკი დამალოს ჰამას შემოსხვევიან! ბულში ვღვრი, ვიბე გამოჰყინილი; პიკმა იცის გამოჩინილა ფულისა! — მეუტარი კი, გულა გამოუტეილი, სულ უჩივის თავის მუტლის ტყვილსა. შევლამ სილა და მალაის ხილის წყენა, შევლამ ნახა დამალოს ვაძლევ საღშია, მაგრამ მაინც ვერაფერ დისწავლა,

და ქისტის კერით არ გამოდგეს კარშია მსოფლიოში

ნუ ტუფდება, რა ძალა შემოძლიან?! რას გაზეთები ერთი ამდენს ხალხშია?! თუ პირი ჰქნეს, ყველამ კარგათ იცინა, ბევრსაც მიტყუენ ცრუებულთა თავშია. მე ერთი ვარ და ისინი ათასი!... ღმერთთან ნუ ჰქნას — ისწავლონ მრავლის ფასი, თორემ ბევრთან ერთი ვერას გაზეთება და მოუტარათ კინტოს საქმე წახდება! მაგრამ ვიცო უპირობა მუშტრისა, — ცოტა კიდევ ვშინიან მუშტრისა! მეც ვგინდა: პირიც მიტრის მუშტრისა, დამალოს ვაძლევ, გინდ გაუჩნდეს ქუშიცა! ზურაბ მონიძე.

გიგლიოზრაზიული განცხადება.

გიგლიოზრაზიული და კამპ. სტამბაში, (ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში) და აგრეთვე ალადათოვის წიგნის მაღაზიაში

ისქილება „კაცია ალაშიანი“
თხზ. თ. ი. ჭავჭავაძისა — ფასი ათი შაური

ქუთაისში

ბუბერნიის ტიპოგრაფიაში (იაკ. ნიკოლაძის სახლებში)

ისქილება:

ბუნების კარი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.

ქართული ანბანი — ი. ბოგებაშვილისა. ფასი ორი შაური.

კაცია, ალაშიანი — მოთხრობა თ. ი. ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებელად ქართველთ ემადილთათვის. მ. კ — შეილისა. ფასი სამი აბაზი და ერთი შაური.

კამპოლოპოთი განცხადება.

განსვენებულმან მეფის რძალმა პოლენე მთარის ასულმან ანდრძის წერილით უანდერბა მაინოსრო თმთრამის მემკვიდრეთა: სამოცდა ათი თუმანი თურთი ფული. მაინოსრო თმთრამის ჰყენდა ცოლი პოლისაგან, ეპი შეილი მხაილი. მხაილი მსახურებდა ტამოყნაში, ტამოყნიდამ გამოვიდა, პრევენს წავიდა და იქ მოკვდა და დარჩა ერთი ქალი და ცოლი. შუ. დ. ჩუბინოვი, რადგანაც არს რწმუნებული პირი მეფის რძლისაგან ფულის დარიგებაში, სთხოვს, მაინოსრო თმთრამის მემკვიდრეთა, წარმოადგინონ საბუთის წერილი, რომ ისინი სწორეთ მემკვიდრენი არიან თმთრამისა და მიიღებენ სამოცდა ათ თუმანს თურთს. — ადრესი უფ. ჩუბინოვისა იპოვება თბილისში, ქართულის გავილის „დროების“ რედაქციაში.

საპაპრო სნობები.

პაეკისის სამხედრო განყოფილების საინჟინერო მმართველობა გამოიწვევს მსურველებს რათა იცისონ ერთი როტისავის იჯარით კაზარის აშენება ბერდიკოლოში. პორციონის და მოულოდნელი გასავლის გარდა ამ პოდრიადისთვის 10,008 მანეთი და 83 1/4 კაპეკია დანიშნული. მაქრობა იქნება ამ წლის 23 დეკემბერს თბილისში ინჟინერების საპაპრო სამმართველოში. — სიტყვიერი ვაჭრობის გარდა, დაბეჭდილი ქაღალდის (ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილზე) გამოგზავნაც შეიძლება. შურო დაწერილებითი პირობები მსურველს შეუძლია ნახოს ინჟინერების საპაპრო სამმართველოში.